მუსიკის ფსიქოლოგიური როლი და გავლენა კინოში

თინათინ ნეფარიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კინომცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები (კინომცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მხეიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ ნეფარიძე

2023 წელი

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომი შეისწავლის მუსიკის ფსიქოლოგიურ როლს და გავლენას კინოში. წარმოდგენილი კვლევა განსაზღვრავს, არის თუ არა შესაძლებელი ჩვენს ხელთ არსებული რესურსებით ვიმსჯელოთ რამდენად დიდი როლი აქვს მუსიკას კინოში და აქედან გამომდინარე, მის ფსიქოლოგიურ გავლენაზე მაყურებელზე, შესაბამის მაგალითებზე დაყრდნობით.

აღნიშნულ ნაშრომში გამოყენებულია მეორადი მონაცემების ანალიზის მეთოდი: კულტურის კვლევის მეთოდი, კონტენტ-ანალიზი და კინო გამოსახულების ვიზუალური ანალიზი. ძირითადი ფოკუსი კეთდება კინოთეორეტიკოსებისა და მუსიკის მკვლევრების ნაშრომებზე, მათ შორის ჯეკ სალივანის, დენიელ გოლდმარკის, სტივენ როულისა და კრისტინ ტომპსონის წიგნებზე, მუსიკის ფსქიოლოგიის და კინოში მუსიკის როლზე.

ზემოთ აღნიშნული ნაშრომები საშუალებას მოგვცემს, ახლებურად გადავიაზროთ მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. რამდენად შესაძლებელია მუსიკამ გავლენა მოახდინოს მაყურებლის მიერ მთლიანი სცენის აღქმაზე და რამდენად დიდი, ან მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ეს გავლენა.

მიღებული კვლევის მიგნებები დაგვეხმარება განვამტკიცოთ ან პირიქით, ეჭვის ქვეშ დავაყენოთ კავშირი ვიზუალურ გამოსახულებასა და მუსიკას შორის. ამ ყველაფერში ალფრედ ჰიჩკოკისა და სტენლი კუბრიკის კინო დაგვეხმარება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მუსიკის ფსიქოლოგია, მუსიკა და კინოკადრი, ლაიტმოტივი, საუნდტრეკი, ალფრედ ჰიჩკოკი, სტენლი კუბრიკი, ბერნარდ ჰერმანი.[1]

[1] აღნიშნული ნაწილი გადამუშავებულია აკადემიური წერის კურსის გავლის ფარგლებში ჩემ მიერ

Abstract

This paper will study the psychological role and influence of music in cinema. The presented research determines whether it is possible with the available resources to judge how big a role music has in cinema and, therefore, its psychological impact on the audience, based on relevant examples.

In this work, the method of secondary data analysis is used: culture research method, content analysis and visual analysis of film images. A major focus is on the works of film theorists and music scholars, including books by Jack Sullivan, Daniel Goldmark, Stephen Rowley, and Christine Thompson, on the psychology of music and the role of music in film.

The above-mentioned works will allow us to rethink the results of their research in a new way. The extent to which the music can influence the audience's perception of the scene as a whole, and how large, or significant, this influence can be.

The obtained research findings will help us to strengthen or, on the contrary, to doubt the connection between visual image and music. The cinema of Alfred Hitchcock and Stanley Kubrick will help us in all this.

Key search Keywords: Psychology of music, music and cinematography, leitmotif, soundtrack, Alfred Hitchcock, Stanley Kubrick, Bernard Herrmann.[2]

[2] აღნიშნული ნაწილი გადამუშავებულია აკადემიური წერის კურსის გავლის ფარგლებში ჩემ მიერ